განმარტებითი ბარათი

$$0{,}5\ L = 0{,}4\ H$$

სადაც 0,5 L არის მანძილი ქუჩის ღერძული ხაზიდან შენობის კედლამდე, H არის შენობის სიმაღლე.

ქუჩის ღერძიდან მაქსიმალური დაცილება შეადგენს 19 მ–ს, შენობის სახურავის კეხის სიმაღლე არის 12 მ.

$$H = \frac{L}{0{,}4} = \frac{19}{0{,}5} = 38 \text{ მეტრი}$$

38 მეტრი არის შენობის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლე, სამშენებლო ნორმა დაცულია და სქემის აგება აუცილებლობას არ წარმოადგენს.

განმარტებითი ბარათი

ინდ. საცხოვრებელი სახლის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, ხოლო დანარჩენი 2 მხრიდან კერძო მიწის ნაკვეთები. მიწის ნაკვეთის ფართია 1050 კვ.მ., რელიეფის ვარდნა უმნიშვნელოა, არაუმეტეს –5%. საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს 2 სართულიან შენობას სარდაფით. კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა წარმოადგენს რკინა–ბეტონის კარკასს, სახურავის მასალად გათვალისწინებულია მეტალო–კრამიტის ფილები.სახურავზე განლაგებული იქნება ჰელიოპანელები.

პროექტი ითვალისწინებს ფასადების მოპირკეთებას მაღალი ხარისხის აგურით, კერძოდ ცოკოლის მოპირკეთება გადაწყვეტილია ბუნებრივი ქვით, ნოლს ზედა 2 სართული (საცხოვრებელი) მოპირკეთდება მაღალი ხარისხის აგურით, ხოლო კუთხის კოლონები მოპირკეთდება ბუნებრივი ქვით.ეზო მოპირკეთდება ბაზალტის ფილებით.

კორექტირებული პროექტით ოდნავ შემცირდა განაშენიანების ფართობი. შეიცვალა შენობის სახურავის დახრილობა და კონფიგურაცია. შემცირდა საზაფხულო ტერასის გაბარიტები.ცვლილება შევიდა კარ-ფანჯრის ღიობების გაბარიტებში შენობის სამივე ნიშნულზე. შეიცვალა კიბის კონფიგურაცია. არქიტექტურული ნაწილი შესწორდა კონსტრუქციულის შესაბამისობაში.

პროექტის ავტორი: /ი. სვიმონიშვილი/

ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 1050,0 კვ.მ.

მოშენების ფართობი – 257,2 კვ.მ.

საერთო ფართობი – 417,8 კვ.მ.

მათ შორის:

საცხოვრებელი ფართობი – 227,5 კვ.მ.

დამხმარე ფართობი – 118,3 კვ.მ.

საზაფხულო ფართობი – 72,0 კვ.მ.

სამშენებლო მოცულობა – 1661,5 კუბ.მ.

კ1 = 257,2:1050=0,2;

კ2 = 465:1050=0,4;

კ3 = 365,2:1050=0,3;

პროექტის ავტორი: /ი. სვიმონიშვილი/